საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/8

ქ.თბილისი

"03" თებერვალი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში დაცული ვადამოსული პერსონალური მონაცემების განადგურების ვადების განსაზღვრისა და განადგურების ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ე) ქვეპუნქტის და მე-14 მუხლის მე–2 პუნქტის, შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში შესულ და გასულ პირთა (ვიზიტორები) აღრიცხვის ჟურნალში შეტანილი, ან ცალკე საშვების სახით შეგროვილი ვადამოსული, 2 (ორი) წელსა და 11 (თერთმეტი) თვეზე მეტი ხნის ჩანაწერის შემცველი პერსონალური მონაცემები განადგურდეს ყოველი თვის პირველი 10 დღის განმავლობაში და შედგეს განადგურების აქტი ;
2. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში შესულ და გასულ პირთა (ვიზიტორები) აღრიცხვის ელექტრონულ რეესტრში შეტანილი ვადამოსული, 3 (სამი) წლის ხნოვანების ჩანაწერის შემცველი პერსონალური მონაცემები წაიშალოს ყოველ სამუშაო დღეს;
3. კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში შესულ და გასულ კომისიის აპარატში დასაქმებულ პირთა აღრიცხვის ელექტრონულ რეესტრს პროგრამულად დაემატოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად ვადამოსული, 3 (სამი) წლის ხნოვანების ჩანაწერის შემცველი პერსონალური მონაცემების ავტომატურად წაშლის ფუნქცია, ყოველდღიური სიზუსტით;
4. წაიშალოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ, ყოფილ დასაქმებულთა კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში შესვლა–გასვლის ელექტრონულად აღრიცხული პერსონალური მონაცემები სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტიდან 1 თვის გასვლის შემდეგ, 5 (ხუთი) სამუშაო დღეში, თუ არ არის წარმოშობილი შრომითი დავა;
5. განადგურდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში დაცული, კომისიის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კომისიის აპარატის საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად ვადამოსული (2 წლის ხნოვანების) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მიერ წარმოდგენილი სატელეფონო ტრაფიკის (გამავალი, შემავალი და შიდა ზარები) ამსახველი CDR–ები ყოველი თვის პირველი 10 დღის განმავლობაში და შედგეს CDR–ების განადგურების აქტი;

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

6. ჩამოყალიბდეს ვადამოსული პერსონალური მონაცემების განადგურების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
ა) კომისიის აპარატის ადმინისტრაციის უფროსი იოსებ ხარებავა (თავმჯდომარე);
ბ) კომისიის აპარატის ადმინისტრაციის საკანცელარიო და საოქმო საქმისწარმოების ჯგუფის უფროსი ნათელა ჯანელიძე (მდივანი);
გ) კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ეკატერინე ჭახრაკია (წევრი);
დ) კომისიის აპარატის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის ადმინისტრატორი გუგული კვანტალიანი (წევრი);
ე) კომისიის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის პროგრამისტი ირაკლი კირკიტაძე (წევრი).
7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში დაცული ვადამოსული პერსონალური მონაცემების განადგურების ვადების განსაზღვრისა და განადგურების ჯგუფის შექმნის შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 01 მაისის N6/9 ბრძანება;

8. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;
10. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ი. ხარებავა) კონტროლი ბრძანების შესრულებაზე.

კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძე**